დამაჯერებელი გამარჯვება

ლენინგრადი. ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 3 მაისი.

“ზენიტი” (ლენინგრადი)–“დინამო” (თბილისი) 0:3 (0:1).

“ზენიტი”: კავაზაშვილი, მეშჩერიაკოვი, სოვეიკო, სტეპანოვი, დერგაჩოვი, ზავიდონოვი, ბურჩალკინი, მ. ივანოვი, აქსიონოვი, მოროზოვი, ხრაპოვიცკი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

მატჩის დებიუტი ძირითადად მიმდინარეობდა მინდვრის შუაგულის დაპყრობისათვის, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ორივე გუნდის ნახევარმცველები. ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, ვინაიდან მათი აგრესიულობა და ტემპერამენტი, აგრეთვე იამანიძის ხშირი რეიდები ლენინგრადელებს აიძულებდა მინდვრის ცენტირდან უკან დაეხიათ საჯარიმო მოედნისაკენ.

მინდვრის ცენტრში მოპოვებული უპირატესობა თანდათან გადაიზარდა ძლიერ შეტევად. თბილისელები კარგად იყენებდნენ თავიანთ მარცხენა ფრთას, სადაც მესხი “ზენიტის” დაცვისათვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა.

დინჯად და უნარიანად ირჩევდა ცენტრში ადგილს კალოევი, რომელმაც თავით გაიტანა კიდეც პირველი ბურთი–1:0.

ლენინგრადელებმა მდგომარეობის გამოსწორება აგრეთვე მარცხენა მხრიდან სცადეს, მაგრამ ხრაპოვიცკისთან ბრძოლაში სიჭინავას სისტემატურად ეხმარებოდა ჩოხელი, ხოლო წინა პოზიციაზე ენერგიულად მუშაობდა ზეინკლიშვილი. მცირე ხანში ინიციატივა კვლავ დინამოელებმა აიღეს ხელთ და ზენიტელებმა კვლავ უკან დასწიეს თავიანთი მთავარი ძალები. ერთ-ერთ შეტევაში კალოევი პირისპირ გავიდა მეკარესთან და მარჯვენა მცველი მეშჩერიაკოვი იძულებული გახდა ხელით დაეჭირა იგი. ღოღობერიძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო–2:0. რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისელებმა მინდვრის შუაგულში წამოიწყეს შეტევა, რის შედეგად კალოევმა მარცხნივ გადააწოდა ბურთი მესხს, რომელმაც კიდევ ერთი ბურთი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში, თბილისის “დინამომ” მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 3:0.

თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაც–2:1.

გ. ზაიცევი, ლენინგრადი.
“ლელო”, 5 მაისი, 1960 წ.